ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

ბრძანება:№44. 442618011

თარიღი:29/06/2026

**"ქალაქ ქუთაისში, საუკეთესო „მწვანე ეზო“-ს გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნის, კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 12 ივნისის N№44.44261637 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" და "ე.ვ" ქვეპუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე;

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1.** შეტანილ იქნეს ცვლილება "ქალაქ ქუთაისში, საუკეთესო „მწვანე ეზო“-ს გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნის, კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 12 ივნისის N№44.44261637 ბრძანებაში. კერძოდ, ბრძანებით დამტკიცებული N1 დანართის („ქალაქ ქუთაისში საუკეთესო „მწვანე ეზო“-ს გამოსავლენად გამოცხადებული კონკურსის „ქუთაისის საუკეთესო მწვანე ეზო“ ჩატარების წესი და პირობები“) მე-4 მუხლის (მუხლი 4. კონკურსის ჩატარების ვადები და წარსადგენი დოკუმენტები) მე-2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. საკონკურსო მასალების შემოტანის ბოლო ვადაა 2026 წლის 01 ივლისის 18:00 საათამდე: ელექტრონულად ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე /contact@kutaisi.gov.ge/“.

**2.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**3.** ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

**4.** ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

დავითი ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი